

შპს ტყუპები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის

ფინანსური ანგარიშგება

თბილისი 2023 წელი

ზოგადი ინფორმაცია

საწარმოს სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება - შპს ტყუპები, ს/ნ 400066334 (შემდგომში - საზოგადოება).

საგადასახადო რეგისტრაციის თარიღი- 2012 წლის 8 ნოემბერი; დღგ-ს გადამხდელი - 2013 წლის 3 იანვრიდან.

საზოგადოების იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, თემქა XI მ/რ, II კვ., კორპ. #40ა, ბინა #8, ფაქტობრივი მისამართი - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-16კმ.

საზოგადოების საბანკო ანგარიშებია: GE14BG0000000996858500 GEL;
GE14BG0000000996858500 EUR; GE14BG0000000996858500 USD.

საზოგადოებას სალარო აპარატი არ გააჩნია.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო კაპიტალში შეადგენს:

- | | | |
|------------------------------|-----------------|-------|
| 1. გია იანვარაშვილი, | ს/ნ 01021015573 | - 33% |
| 2. კონსტანტინე იანვარაშვილი, | ს/ნ 01022002314 | - 34% |
| 3. ანდრია ჭულუხიძე, | ს/ნ 01025015270 | - 33% |

საზოგადოება სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში წილებს არ ფლობს.

საზოგადოების ხელმძღვანელია - კონსტანტინე იანვარაშვილი, თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 20 კაცს;

საზოგადოების საქმიანობის სფერო - სატვირთო საგზაო ტრანსპორტი, სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღია 2022 წლის 31 დეკემბერი. ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი-2022 წელი.

ზოგადი დებულებები

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მიზანს შეადგენს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად დაინტერესებული პირებისთვის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების ფორმირება, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის. პერიოდულად ხდება ფაქტიური შედეგებისა და მიმდინარე შეფასებების შედარება-განხილვა, საჭიროების მიხედვით განახლება, კორექტირება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებში, როდესაც ამის შესახებ გახდება ცნობილი.

წარდგენის ვალუტა

საზოგადოება აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ეკონომიკური შინაარსის და საქმიანობის შესაბამისად, ქართული ვალუტა აღიარებულია როგორც შეფასების ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტის - ქართული ლარის გარდა, საზოგადოება საბანკო ტრანზაქციებს ანხორციელებს აშშ დოლარისა და ევრო-ს ანგარიშებით.

საზოგადოებამ მოახდინა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლების გადაფასება. კერძოდ, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კურსთაშორის სხვაობიდან მიღებულ ზარალმა შეადგინა- 15949 ლარი (2021 წელს - 14726 ლარი).

საქმიანობის უწყვეტობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისმობს, რომ საზოგადოება განაგრძობს უწყვეტად ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში.

ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებულია, ასე რომ მოიქცეს. მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განაგრძონ და გააფაროვნ საზოგადოების მუშაობა.

ქვემოთ არის წარმოდგენილი საზოგადოების 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების საშედეგო ცხრილები და წინასაანგარიშგებო 2020-2021 წლების შესადარისი მაჩვენებლები.

კერძოდ:

- საქმიანობის შედეგების ცხრილი;
- ფინანსური მდგომარეობის ცხრილი;
- კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ცხრილი;

შპს ტყუპები		
საქმიანობის შედეგები (საანგარიშგებო პერიოდი - 2022 წელი) ლარი		
შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ზოლოთარილი 2022	საანგარიშგებო პერიოდის ზოლოთარილი 2021
ნეტო ამონაგები	4110634	3252464
მ.შ . საქონლის გაყიდვიდან	1750429	1658879
მ.შ.მომსახურების გაწევიდან	2360205	1593585
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1475869	1426671
საერთო მოგება	2634765	1825793
ხელფასი	388500	346555
ადმინისტრაციული ხარჯები	419360	497260
სხვა საოპერაციო ხარჯები	887937	723036
მათ შორის		
ავტომობილების საწვავი	809154	429453
საგადასახადო ხარჯი	77676	291332
საკომუნიკაციო ხარჯი(ინტერნეტი)	1107	2251
ბანკების სესხების პროცენტი	61348	123278
საპენსიო ხარჯი	5620	5321
ცვეთა, ამორტიზაცია	164060	147235
საოპერაციო ხარჯი, სულ	1926825	1842685
საოპერაციო მოგება (ზარალი)	707940	-16892
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	913353	181232
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	15949	14726
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	205413	198124
არასაოპერაციო ხარჯები		
ხარჯები, სულ	3418643	3284082
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	897404	166506
მოგების გადასახადი	100588	26471
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	796816	140035
საკუთარი კაპიტალი	729253	747 113
გაუნაწილებელი მოგება	796816	140035
კაპიტალის შემცირება დამფუძნებელთა მოთხოვნის ხარჯზე	-570000	-157 895
სულ საკუთარი კაპიტალი	956069	729253

შპს ტყუპები			
ფინანსური მდგომარეობა (საანგარიშგებო პერიოდი - 2022 წელი)			ლარი
შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31/12/2022	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31/12/2021	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31/12/2020
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	216827	546918	608518
მ.შ. ბანკი	30962	66129	375804
მ.შ. სალარო	185865	480 789	232714
სავაჭრო მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები)	166500	147449	134237
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	245843	40351	125925
სხვა მოკლევადიანი აქტივები	6479	23257	35812
ძირითადი საშუალებები	1 679 800	2 127 822	1951790
სულ აქტივები	2315449	2885797	2856282
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები კრედიტორების მიმართ	72570	52789	43617
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	46 913	34404	777
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1239897	2069351	2044975
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	100588	26471	
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები			19800
სულ ვალდებულებები	1359380	2156544	2109169
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	729253	747113	835208
გაუნაწილებელი მოგება	796816	140035	69800
კაპიტალის შემცირება დამფუძნებელთა მოთხოვნის ხარჯზე	570000	157895	157895
სულ საკუთარი კაპიტალი	956069	729253	747113
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2315449	2885797	2856282

შპს ტყუპები		
ფულადი სახსრების მოძრაობა (საანგარიშგებო პერიოდი - 2022 წელი) ლარი		
	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2022	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	595 290	324737
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-241 364	-221031
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-668068	-150580
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-314142	-46874
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-15949	-14726
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	546918	608518
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	216827	546918

განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია ბასს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. საზოგადოების ხელმძღვანელობას აქვს შემუშავებული და იყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე

მიღებული ინფორმაცია სამართლიანად ასახავს საწარმოოს საქმიანობის შინაარს, ეკონომიკურ მოვლენებს და ობიექტურია. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის პირველადი შეფასების საფუძველი. ცვლილებები საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში არ მომხდარა.

აქტივები

აქტივების მოცულობა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფიქსირდა 2315449 ლარის დონეზე, წინა წელთან შედარებით შემცირდა 570348 ლარით, დივიდენდის გაცემის ხარჯზე. აქტივების მოცულობაში ფულადი სახსრების წილად მოდის 9.4 %, ხოლო ძირითადი საშუალებების წილად -72,5 %. ფულადი სახსრები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სალაროში ნაღდი ფულის ნაშთი წინა წელთან შედარებით შემცირდა 2,5 ჯერ და შეადგინა 216827 ლარი. საზოგადოებაში ფულადი სახსრების აკუმულირების წყაროა საქონლის რეალიზაცია და მომსახურება. სამეურნეო ოპერაციებს საზოგადოება ახდენს ქვეყნის შიგნით, ამის გამო, მოთხოვნებისა და ვალდებულებების მომსახურების პროცესში, საზოგადოება არ სარგებლობს უცხოურ ვალუტაში ოპერაციებით. ამასთან, საზოგადოებას სესხები ბანკებიდან აღებული აქვს უცხოურ ვალუტაში და ვალუტების კურსების ცვლილება ლართან მიმართებაში, გავლენას ახდენს მის საფინანსო მდგომარეობაზე.

საზოგადოების აქტივების ძირითადი მუხლის - ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აქტივების ხელახალი შეფასება საზოგადოებაში არ განხორციელებულა.

აქტივის თვითღირებულებაა გარიგების ფასი აქტივის შესყიდვის დროს (გადახდილი თანხა). თვითღირებულება მოიცავს ასევე ამ აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. აღიარება ხდება შესყიდვის დოკუმენტების, ანგარიშ-ფაქტურების, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ანგარიში ხდება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრისთვის, ძირითადი საშუალებების ნარჩენ საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 1 679 800 ლარი, წინა წელთან შედარებით (2 127 822 ლარი). კლებამ 21 % ანუ 448 022 ლარი შეადგინა. აღნიშნული შემცირება მოდის მიწის ნაკვეთის გაყიდვის ((205 413 ლარი) და ცვეთა, ამორტიზაციის (164 060 ლარი) ხარჯზე.

ვალდებულებები

საზოგადოებას აქვს ვალდებულებები წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას საწარმოდან. ასეთი ვალდებულებები (კრედიტორული) მოცემულია ხარჯის სახით, რაც წარმოადგენს მიღებული სერვისის ან პროდუქციის ასანაზღაურებელ თანხას.

კრედიტორული დავალიანება, რომლის დაფარვის ვადაც ერთ წელზე მეტია, აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების

მოცულობამ საანგარიშგებო წლის ბოლო თარიღისთვის შეადგინა 1 239 897 ლარი და წინა წელთან შედარებით შემცირდა 40%-ით, ანუ 829 454 ლარით.

კაპიტალი

საზოგადოების კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 956 069 ლარს, რაც წინა წლის შესაბამის თარიღზე ანალოგიურ მონაცემს აღემატება 226 816 ლარით, 31,1 %-ით. მესაკუთრეებზე გაიცა 570 000 ლარი დივიდენდი. საანგარიშგებო წლის ბოლო თარიღისთვის გაუნაწილებელი მოგების მოცულობა დაფიქსირდა 796816 ლარის დონეზე.

ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებებში.

პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, ვინაიდან მოსალოდნელი არაა ეკონომიკური სარგებლის გასვლა საზოგადოებიდან და შესაძლებელია ვალდებულებების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული პირობითი აქტივები. ამ სახის ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის შესაძლებლობა საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ტყუპების წარმოდგენილი 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია, საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორების 2023 წლის 15 სექტემბრის საერთო კრების საოქმო გადაწყვეტილებით.

